ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია

ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა №23

ტელ: 25-94-00, ფაქსი: 25-93-13

N 05/2746
05/04/2019

2746-05-2-201904051625

Factcheck -ის ანალიტიკოსს

ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

ქალბატონო ნაზიბროლა,

თქვენი 2019 წლის 06 მარტის N3442/05 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის საპროექტო განყოფილება შეიქმნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 სექტემბრის №22 დადგენილების საფუძველზე. განყოფილება განისაზღვრა 4 საშტატო ერთეულით: განყოფილების უფროსი - 1 ერთეული, მთავარი სპეციალისტი - 3 ერთეულით. 2017 წლის 23 ივნისის №19 დადგენილების საფუძველზე, საშტატო ნუსხით დამტკიცებული თანამდებობები, 2017 წლის 1 ივლისიდან გარდაიქმნა პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობებად. მთავარი სპეციალისტის თანამდებობა გარდაიქმნა - უფროსი სპეციალისტის თანამდებობად. შესაბამისად, საპროექტო განყოფილებას ამ პერიოდისათვის ყავდა 1 განყოფილების უფროსი და 3 - უფროსი სპეციალისტი. თანამდებობრივი სარგო 2018 წლის 1 იანვრამდე მდგომარეობით, განსაზღვრული იყო: განყოფილების უფროსი - 810 (რვაასათი) ლარი; უფროსი სპეციალისტი - 560 (ხუთასსამოცი) ლარი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობების პირთა და საჯარო მოსამსახურეების თანამდებობათა რანგირება და თანამდებობრივი სარგოები, 2018 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე, განყოფილების უფროსის შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო) განისაზღვრა 1200 (ათასორასი) ლარით, უფროსი სპეციალისტის - 800 (რვაასი) ლარით. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №08 დადგენილებით 2018 წლის 30 მარტიდან ამოქმედდა ახალი საშტატო ნუსხა. საპროექტო განყოფილება შევიდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურში. დღეის მდგომარეობით საპროექტო განყოფილებაში შტატით

გათვალისწინებულია 4 ერთეული, 1 - განყოფილების უფროსი 1200 (ათასორასი) ლარი, 3 - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 800 (რვაასი) ლარი.

მე-5 პუნქტის პასუხად გაცნობებთ, რომ შექმნის დღიდან მიმდინარე პერიოდის ჩათვლით მუნიციპალიტეტში შექმნილი საპროექტო განყოფილების მიერ დაწუნებული იქნა ახალშენის ბაღის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

მე-6 პუნქტის პასუხად გაცნობებთ, რომ აუდიტის დასკვნაში მოცემულია როგორც შენიშვნები, ასევე რეკომენდაციები. ძირათადად შენიშვნები არის 2016-2017 წლების პროექტებში, დამატებით განგიმარტავთ, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ყოველთვის არსებობს ცდომილებები და გაუთვალისწინებელი სამუშაოები, საპროექტო ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ხარვეზების შემთხვევაში გათვალისიწინებულია პროექტში ცვლილებების შეტანა უსასყიდლოდ, რაც სამუშაო პროცესის დროს ხდება პროექტში ცვლილებების შეტანა უსასყიდლოდ.

მე-7 პუნქტის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტები მომზადებული იყო შ.პ.ს „ARCH-STYLE“-ს მიერ,

პატივისცემით,

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა